

დამტკიცებულია ცვლილებებით სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ
(აკადემიური საბჭოს დადგენილება № 05/01- 351, 17.07.2017)

1. საბაკალავრო პროგრამის დასახელება - ფარმაცია
2. მისანიჭებელი კვალიფიკაცია - ფარმაციის ბაკალავრი
3. პროგრამის მოცულობა კრედიტებით - 240 (ECTS) კრედიტი
4. სწავლების ენა - ქართული

5. საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი - ირმა ცომაია

6. პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

- სრული ზოგადი განათლების ატესტატი და ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგები;
- კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემთხვევები.

7. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი

სააფთიაქო პრაქტიკულ საქმიანობაზე ორიენტირებული, უმაღლესი განათლების მქონე პირების – ბაკალავრების მომზადება ფარმაციის სპეციალობით, რომლებსაც ცოდნის ფარგლებში შეეძლება, თანამედროვე ფარმაცევტულ მოთხოვნილებათა კრიტერიუმების სრულად დაკმაყოფილება და მოსახლეობის წამალთმომსახურეობის საქმეში ღირსეული პროფესიული მოქმედების გამოვლინება. ფარმაცევტული ფაქტორების მოქმედების გათვალისწინება (სამკურნალო ფორმების სახეები, სამკურნალო ნივთიერებათა ნაწილაკების ზომები, თვისებითი და რაოდენობითი

შემადგენლობა, დამხმარე ნივთიერებების ტექნოლოგიური პროცესები და აპარატურა), სამკურნალო ფორმების ხარისხობრივი და ბიოლოგიური შეღწევადობა. ნედლეულის, სუბსტანციისა და სამკურნალო-პროფილაქტიკური საშუალებების დამზადება. ხშირად განმეორებადი წამლის ფორმების გამოვლინება, სამკურნალო პრეპარატების სააფთიაქო დამზადება და მათი გადაცემა ფარმაცევტული მრეწველობისათვის. დაიცვას სააფთიაქო დაწესებულების კოლექტივსა და ავადმყოფებს შორის დეონ-ტოლოგიური პრინციპი.

8. სწავლის შედეგები

- **ცოდნა და გაცნობიერება** - საბაკალავრო პროგრამის დასრულების შემდეგ, კურსადმთავრებულს გააჩნია საბაზო ცოდნა საბუნებისმეტყველო და სპეციალობის დისციპლინებში; პროგრამის შესწავლა სტუდენტს აძლევს ცოდნას შემდეგ მნიშვნელოვან საკითხებთან მიმართებაში: **იცის** - ფარმაცოლოგიური ჯგუფების მიხედვით პრეპარატების კლასიფიკაცია, მედიკამენტების დანიშვნის ჩვენებები, მათი მოქმედების მექანიზმები, ფარმაცოლოგიური ეფექტები, ორგანიზმში შეყვანის, ბიოტრანსფორმაციის და ელიმინაციის გზები, რაციონალური ფარმაცოთერაპიის სფუძვლები; ფარმაცევტული პროდუქციის დამზადებისა და ანალიზის დროს გამოყენებული აპარატურა-მანქანების, ხელსაწყოების მუშაობის პრინციპები; ფარმაცევტული ნედლეულის დამზადების, შრობის, გადამუშავების, შენახვის წესების, ანალიზის, სტანდარტიზაციის მეთოდების დაცვის მნიშვნელობა უსაფრთხო, ეფექტური და ხარისხიანი ფარმაცევტული პროდუქციის მიღებისას, როგორც აფთიაქის ასევე საწარმოს პირობებში; გადაუდებელი სამედიცინო შემთხვევების დროს პირველადი დახმარების გაწევა; ეფექტური, უვნებელი და ხარისხიანი სამკურნალო საშუალებებით მომხმარებლის უზრუნველყოფა; რეცეპტის მიხედვით წამლის გაცემა და დოზირების დანიშნულების, მიღებისა და გვერდითი ეფექტების შესახებ ინფორმაციის მიწოდება; კოსმეტოლოგიისა და პლასტიკური ქირურგიის ძირითადი მიმართულებები, კოსმეტიკური საშუალებებით კანის დაცვა აგრესიული ფაქტორებისგან, ულტრაიისფერი სხივებისგან; ურეცეპტოდ გასაცემი სამკურნალწამლო საშუალებების რაციონალური შერჩევა; სპეცკონტროლს დაქვემდებარებული (ფსიქოტროპული, ნარკოტიკული) სამკურნალწამლო საშუალებების აღრიცხვა და გაცემა. **იცნობს** - სამკურნალო და პროფილაქტიკური საშუალებების შემადგენლობას, სამკურნალო პრეპარატების საფირმო სახელწოდებებს; სამკურნალო პრეპარატების მოქმედების მექანიზმს, მათ ფარმაცოლოგიურ მოქმედებას; სამკურნალო მცენარეებს, იცის მათი შეგროვების, შენახვისა და მათი გამოყენების წესები; ფარმაცევტული საქმიანობის სახელმწიფო პოლიტიკას და სამართლებრივ საფუძვლებს; სამკურნალო საშუალებათა ხარისხის უზრუნველყოფისა და ხარისხის კონტროლის სახელმწიფო სისტემას საქართველოში; აფთიაქს, როგორც ფარმაცევტული სისტემის საცალო რგოლს, მის სტრუქტურას, ფუნქციებს და ამოცანებს; აფთიაქის განყოფილებების მუშაობის ორგანიზაციას, წამლის მომზადების ორგანიზაციას; შიდა სააფთიაქო კონტროლს; ფარმაცევტული მენეჯმენტის თეორიას და პრაქტიკას; მენეჯმენტს და მართვას, მენეჯმენტის მეთოდებს, მართვის სისტემებს, სტრუქტურებს და ფორმებს; ფარმაცევტული საქმის ორგანიზაციას და მის განვითარებას. **ერკვევა** საქართველოს კანონში „წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ“ და სხვა კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებში.
- **ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი** - საბაკალავრო პროგრამის გავლის შემდეგ ფარმაციის ბაკალავრს ექნება ფარმაცევტული დისციპლინების სიღრმისეული ცოდნა, რაც მას საშუალებას აძლევს: განახორციელოს სამკურნალო პრეპარატების თვისობრივი, რაოდენობრივი, ბიოლოგიური და ტოქსიკოლოგიური ანალიზი, მიღებული შედეგების სწორი ინტერპრეტაციით; მომხმარებელს გაუწიოს კვალიფიციური კონსულტაცია

პრეპარატის მიღების, დოზის, ხანგრძლივობის და გვერდითი მოვლენების შესახებ, შეუძლია საჭიროების შემთხვევაში გაწიოს პირველადი სამედიცინო დახმარება; გასაცემი სამკურნალო პრეპარატების შეცვლის აუცილებლობის შემთხვევაში ანალოგების შეთავაზება; სამკურნალო საშუალებებისა და სამედიცინო საქონლის შენახვა წესების დაცვით; ბუნებრივი (მცენარეული, ცხოველური და მინერალური) და სინთეზური ნედლეულის დამზადება, გადამუშავება და შენახვა; სამკურნალო საშუალებების ექსტემპორალური დამზადება (რეცეპტის შესაბამისად) და ფარმაცევტული პროდუქციის სერიული წარმოება(რეგლამენტის შესაბამისად); ფარმაცევტული საწარმოს აპარატურა-დანადგარების და ხელსაწყოების უსაფრთხოდ ექსპლოატაცია; ფარმაცევტული დაწესებულებების სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელობა; ფარმაცევტული დაწესებულების მენეჯმენტის ობიექტური შეფასება და მსჯელობა მართვის სისტემის ეფექტურობაზე; ქართულ და უცხოურ ენებზე კითხვა, წერა, მოსმენა და მეტყველება.

- **დასკვნის უნარი** - კურსდამთავრებულს შეუძლია - ფარმაცევტული საქმიანობის პროცესში ფაქტობრივი მონაცემების გააზრება-განალიზება და დასკვნის გაკეთება; წარმოქმნილი პრობლემების გამომწვევი ფაქტობრივი მონაცემების შეგროვება, ლოგიკური მსჯელობის საფუძველზე დასკვნის გაკეთება; ანალიზის მეთოდების გამოყენებით სამკურნალო მცენარეული ნედლეულის ნამდვილობასა და კეთილხარისხოვნებაზე დასკვნის გაკეთება; აქვს პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელი მასალის შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის უნარი.
- **კომუნიკაციის უნარი** - კურსდამთავრებულს შეუძლია - კომუნიკაცია სპეციალისტებთან და მომხმარებლებთან; შეხვედრებში მონაწილეობა და თავისი მოსაზრებების ზეპირსიტყვიერად და წერილობით გადმოცემა; ეფექტურად გამოიყენოს საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები ფარმაცევტული საქმიანობის უზრუნველსაყოფად; უცხო (ინგლისური, გერმანული, ფრანგული ან რუსული) ენის პრაქტიკული გამოყენება კომუნიკაციის, ტექნიკური ინსტრუქციების და მედიკამენტების ანოტაციის; პროფესიულ თემებზე დისკუსია და დებატები კოლეგებთან; ახალი პროფესიული მასალის მოძიება და პრეზენტაციის გაკეთება კოლეგებისა და მომხმარებლებისათვის, როგორც ქართულ ასევე უცხო (ინგლისური, გერმანული, ფრანგული ან რუსული) ენაზე.
- **სწავლის უნარი** - კურსდამთავრებულს შესწევს სასწავლო, სამეცნიერო, ნორმატიულ ცნობარებსა და სხვა წყაროებთან დამოუკიდებლად მუშაობის უნარი; შეუძლია საკუთარი სწავლის პროცესის მართვა; აცნობიერებს ცოდნის განუწყვეტელი განახლების აუცილებლობას; სწავლის შედეგად მიღებული კომპეტენციების საფუძველზე, შეუძლია განსაზღვროს სწავლის მიმართულება ცვალებად და გაუთვალისწინებელ ვითარებაში; შეუძლია განსაზღვროს სწავლის გაგრძელების მიზანშეწონილობა იმავე ან სხვა მონათესავე, ან განსხვავებული სპეციალობის მიხედვით; აქვს შემდგომ საფეხურზე სწავლის უნარი.
- **ღირებულებები** - ფარაცის ბაკალავრი იცავს ფარმაცევტის პროფესიული ეთიკის ნორმებს, აცნობიერებს საქართველოში ფარმაცის განვითარების აუცილებელ პირობას და ამყარებს კავშირს ფარმაცევტულ კომპანიებს, ფარმაცევტულ ქარხანასა და ფარმაკოქიმიის ინსტიტუტთან, კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით; აფასებს თავისი და სხვების დამოკიდებულებას პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელ ღირებულებებთან და უზიარებს სხვებს; მაღალი პასუხისმგებლობით ეკიდება საკუთარ პროფესიულ საქმიანობას; გაცნობიერებული აქვს სამკურნალო პრეპარატების სპეციფიკიდან გამომდინარე, ხარისხის მოთხოვნებისადმი განსაკუთრებული დამოკიდებულება; პასუხისმგებელია მასზე დაკისრებული საქმიანობის ხარისხიანად შესრულებაზე; პატივს სცემს მშობლიური ქვეყნის ისტორიას, კულტურასა და ტრადიციებს.

9. საბაკალავრო პროგრამის სტრუქტურა

№	სასწავლო კურსი	კოდი	ECTS	საათების რაოდენობა		კრედიტების განაწილება სემესტრების მიხედვით								დაშვების წინაპირობა
				საკონტაქტო	დამოუკიდებელი	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	
საფაკულტეტო სავალდებულო კურსები - 30 კრედიტი														
	უცხო ენა - 18 კრედიტი					6	6	6						
ა)	ინგლისური ენა - დამწყებთათვის (მათთვის ვისაც ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად აკადემიურ პროგრამებზე ჩარიცხვისათვის სავალდებულო საგნად არჩეული ჰქონდა სხვა უცხო ენა შეუძლით აირჩიონ ინგლისური ენა - დამწყებთათვის)													
1.	ინგლისური ენა I (Elementary A1)	ENGL B 001	6	65	85	6								წინაპირობის გარეშე
2.	ინგლისური ენა II (Pre-Intermediate A2)	ENGL B 002	6	65	85		6							ENGL B 001
3.	ინგლისური ენა III (Intermediate B 1)	ENGL B 003	6	65	85			6						ENGL B 002
ბ)	უცხო ენა (ინგლისური, გერმანული, ფრანგული ან რუსული) - არჩევით (მათთვის ვისაც ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად აკადემიურ პროგრამებზე ჩარიცხვისათვის სავალდებულო საგნად არჩეული ჰქონდა ინგლისური, გერმანული, ფრანგული ან რუსული ენა)													
1.	უცხო ენა I - (ინგლისური, გერმანული, ფრანგული ან რუსული ენა) - B 1.2	ENGL B 011 GERM B 011 FREN B 011 RUSS B 011	6	65	85	6								წინაპირობის გარეშე
2.	უცხო ენა II - (ინგლისური, გერმანული, ფრანგული ან რუსული ენა) - B 2. 1	ENGL B 012 GERM B 012 FREN B 012 RUSS B 012	6	65	85		6							ENGL B 011 GERM B 011 FREN B 011 RUSS B 011
3.	უცხო ენა III - (ინგლისური, გერმანული, ფრანგული ან რუსული ენა) - B 2.2	ENGL B 013 GERM B 013 FREN B 013	6	65	85			6						ENGL B 012 GERM B 012 FREN B 012

		RUSS B 013													RUSS B 012
5.	<i>დარგობრივი უცხო ენა - (ინგლისური, გერმანული, ფრანგული ან რუსული ენა) (ფარმაცია)</i>	ENGL B 030 GERM B 030 FREN B 030 RUSS B 030	3	35	40					3					ENGL B 003/ENGL B 013 GERM B 013 FREN B 013 RUSS B 013
6.	<i>კალკულუსი</i>	MATH B150	3	35	40	3									წინაპირობის გარეშე
7.	<i>საოფისე პროგრამები</i>	COMP B125	3	35	40		3								წინაპირობის გარეშე
	<i>აკადემიური წერა</i>	ACAD B101	3	35	40	3									წინაპირობის გარეშე
სპეციალობის სავალდებულო კურსები - 168 კრედიტი															
1.	<i>ლათინური ენა</i>	LAT B101	6	65	85		6								წინაპირობის გარეშე
2.	<i>ფარმაციის შესავალი და გაცნობითი პრაქტიკა</i>	PHARM B101	6	65	85	6									წინაპირობის გარეშე
3.	<i>სამედიცინო ფიზიკა და ბიოფიზიკა</i>	PHYS B150	3	35	40		3								წინაპირობის გარეშე
4.	<i>ზოგადი და არაორგანული ქიმია ფარმაცევტებისათვის</i>	CHEM B135	6	65	85	6									წინაპირობის გარეშე
5.	<i>ანალიზური ქიმია</i>	CHEM B136	9	95	130		9								ზოგადი და არაორგანული ქიმია
6.	<i>ორგანული ქიმია</i>	CHEM B137	9	95	130			9							ზოგადი, არაორგანული, ანალიზური ქიმია
7.	<i>ფიზიკური და კოლოიდური ქიმია</i>	CHEM B138	6	65	85					6					ზოგადი, არაორგანული, ანალიზური და ორგანული ქიმია
8.	<i>ზოგადი ბიოქიმია</i>	BIOL B140	6	65	85					6					ქიმიის კურსები
9.	<i>მცენარეთა ანატომია, მორფოლოგია, ფიზიოლოგია</i>	BIOL B141	6	65	85	6									წინაპირობა არ გააჩნია
10.	<i>მცენარეთა სისტემატიკა</i>	BIOL B142	3	35	40		3								მცენარეთა ანატომია, მორფოლოგია, ფიზიოლოგია
11.	<i>ადამიანის ანატომიის საფუძვლები</i>	BIOL B143	3	35	40			3							წინაპირობა არ გააჩნია
12.	<i>ადამიანის ფიზიოლოგიის საფუძვლები</i>	BIOL B144	3	35	40			3							ადამიანის ანატომიის საფუძვლები
13.	<i>სამედიცინო მიკრობიოლოგია</i>	BIOL B133	3	35	40			3							სამედიცინო ფიზიკა და ბიოფიზიკა
14.	<i>ფარმაკოგნოზია პრაქტიკით</i>	PHARM B102	9	95	130					9					მცენარეთა ანატომია, მორფოლოგია, ფიზიოლოგია; მცენარეთა სისტემატიკა; ლათინური ენა
15.	<i>ფარმაკოგნოზია</i>	PHARM B103	6	65	85					6					მცენარეთა ანატომია, მორფოლოგია, ფიზიოლოგია; მცენარეთა

